

სამართლებრივ ადვოკატთა ასოციაცია GEORGIAN BAR ASSOCIATION

WWW.GBA.GE



GBA-Newsletter

აპრილი 2017

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ადვოკატთა ასოციაციის წინადადება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით დაამტკიცა



სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ სრულად გაითვალისწინა ადვოკატთა ასოციაციის წინადადება და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, (50 მომხრე - 3 წინააღმდეგი) დაამტკიცა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგი რედაქცია:

“3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში - წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.”

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიაში, ადვოკატთა ასოციაციას, საერთაშორისო მდივანი, ადვოკატი დავით ასათიანი წარმოადგენდა.

ტრენინგი თელავში



28-29 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრებისა და აკრედიტებული სასამართლო მედიატორების დავით ასათიანის და ირაკლი ყანდაშვილის მიერ თელავში მოქმედი ადვოკატებისთვის ჩატარდა ტრენინგი “ადვოკატის როლი მედიაციაში”.

ტრენინგი ეხებოდა სასამართლო მედიაციის არსს, როგორც დავის გადაწყვეტის ახალ ალტერნატიულ მექანიზმს ქართულ სამართლებრივ სივრცეში და ადვოკატის როლს, ფუნქციებს მედიაციის პროცესში კლიენტის ინტერესების დასაცავად. ტრენინგი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.

ტრენინგები მხარდაჭერილია ევროკავშირის პროექტის და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ

ადვოკატთა ასოციაციამ აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე დისკუსია გამართა მოსამართლეებთან, პროკურორებთან და ადვოკატებთან



27 აპრილს, სასტუმრო „რუმს“-ში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვევით გამართა მრგვალი მაგიდა-დისკუსია მოსამართლეებს, პროკურორებს და ადვოკატებს შორის (Bench-Bar შეხვედრები). ეს არის მსგავსი შეხვედრების რიგით მეხუთე ღონისძიება, სადაც სამივე პროფესიისთვის აქტუალური საკითხები განიხილეს: მტკიცებულებათა დასაშვებობა, წინასასამართლო სხდომა, დათვალიერების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებთან, კომპიუტერული სისტემიდან მონაცემების (ვიდეო-ჩანაწერების) გამოთხოვასთან და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები.

Bench-Bar შეხვედრას და მუშაობას ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი უძღვებოდა. აღინიშნა, რომ ასეთი ღონისძიებები, სხვადასხვა იურიდიული პროფესიების ჩართულობით, აუცილებელია ქვეყანაში ხარისხიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის.

შეხვედრები ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით. მსგავსი შეხვედრები უკვე ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: ქუთაისი, ბათუმი, ანაკლია და მომავალშიც

ეთიკის კომისიამ კახეთის რეგიონში მოღვაწე ადვოკატებთან შეხვედრა გამართა



2017 წლის 22-23 აპრილს, „ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა“ და USAID PROLOG–ის პროექტის „ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური განვითარების“ ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ციცილო ცხვედიანმა და კომისიის წევრებმა - თეა ჭეიშვილმა და ქეთევან უტიაშვილმა გასვლითი შეხვედრა გამართეს კახეთის რეგიონში, კერძოდ, თელავსა და სიღნაღში. აღნიშნული შეხვედრის მიზანი იყო კახეთის რეგიონში რეგისტრირებულ ადვოკატებისათვის ეთიკის კომისიის საქმიანობის, არსებული პრაქტიკული საკითხების და შესაძლებლობების გაცნობა, ასევე, პრობლემური საკითხების გამოკვეთა და შეხვედრაზე მყოფი ადვოკატებისათვის, კითხვა-პასუხის რეჟიმში მათ კონკრეტულ, პრაქტიკულ საკითხებზე რეკომენდაციების გაცემა.

შეხვედრას დაესწრო კახეთის რეგიონის ყველა რაიონში მოღვაწე ადვოკატი, რომელთა შორის იყვნენ როგორც ფიზიკური პირი ადვოკატები, ასევე, თელავის ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სიღნაღის იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად შეხვედრის ორი კონკრეტული ადგილისა, როგორც თელავში, ასევე, სიღნაღში მოწვეული იქნა ადვოკატები კახეთის სხვა რაიონებიდან, მათი მაქსიმალური ჩართულობისა და ინფორმირებულობისათვის.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ეთიკის კომისიის საქმიანობა, დანიშნულება და მიზნის განმარტება, სადაც ხაზი გაესვა კომისიის საგანმანათლებლო და პრევენციულ საქმიანობასა და მიზანს. ეთიკის კომისიის წევრების მიერ დამსწრე ადვოკატებს განემარტათ დისციპლინური სამართალწარმოებისა და პრაქტიკის საკითხები, კერძოდ, მიეწოდათ ინფორმაცია საჩივრის ავტორებისა და საჩივრის სახეების, შესაძლო დარღვევების, არსებული პრაქტიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეების შესახებ. შეხვედრების მიმდინარეობისას კომისიის წევრები პასუხობდნენ ადვოკატებს შეკითხვებს და მონაწილეობას იღებდნენ დისკუსიაში.

შეხვედრა დამსწრე ადვოკატების მიერ ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეფასდა, ვინაიდან, მათი განცხადებით, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეწოდათ ეთიკის კომისიის საქმიანობისა და პრაქტიკის შესახებ. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა შეხვედრის ფორმატი - დისკუსია და

კითხვა-პასუხი, რადგან შეხვედრის მონაწილეებს მაქსიმალურად მიეცათ საშუალება გამოეთქვათ საკუთარი აზრი და დაესვათ შეკითხვები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. შეხვედრების ბოლოს დაფიქსირდა სურვილი, რომ, სამომავლოდ, მსგავსი ტიპის შეხვედრები გაიმართოს როგორც იგივე ქალაქებში, ასევე, რეგიონის სხვა ქალაქებშიც.

„ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა“ და USAID PROLOG-ის პროექტი გრძელდება. ეთიკის კომისიის წევრები მიმდინარე წლის განმავლობაში - მაისისა და ივნისის მიმდინარეობისას განახორციელებენ გასვლით შეხვედრას იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში მოღვაწე ადვოკატებისათვის.

უკრაინის ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობა ფართოვდება



2017 წლის 7 აპრილს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი, როგორც მოქმედი მედიატორი დაესწრო და მონაწილეობა მიიღო ქალაქ კიევიში გამართულ საერთაშორისო მრგვალ მაგიდაში „მედიაციის პროცესი სასამართლოს საქმისწარმოებაში“.

ირაკლი ყანდაშვილი მრგვალ მაგიდაზე მოხსენებით წარსდგა, რომელიც მედიაციის ქართულ მოდელს და მისი განვითარების პერსპექტივებს ეხებოდა. მან, ასევე, არსებული საქართველოს კანონის „მედიაციის შესახებ“ კანონპროექტი მიმოიხილა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და უკრაინის ადვოკატთა ასოციაცია მედიაციის მიმართულებით მჭიდრო და ინსტიტუციურ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

მრგვალი მაგიდა ორგანიზებული იყო უკრაინის ადვოკატთა ასოციაციის და უკრაინელი მედიატორების მიერ.

სასწავლოცენტრი

2017 წლის აპრილში განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი

- 3 აპრილი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი;
- 3 აპრილი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- 5 აპრილი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 6 აპრილი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- 7 აპრილი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- 8 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 10–11 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 11 აპრილი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები;
- 12–13 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 20 აპრილი – ეკონომიკური დანაშაულები;
- 24 აპრილი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი;
- 24 აპრილი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 25 აპრილი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში;
- 25–26 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 26 აპრილი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში;
- 27–28 აპრილი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 28 აპრილი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა.

ბათუმი

- 3 აპრილი – მედიაცია;
- 4 აპრილი – მედიაცია;
- 19 აპრილი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.

ქუთაისი

- 5 აპრილი – მედიაცია;
- 6 აპრილი – მედიაცია;
- 10 აპრილი – ეკონომიკური დანაშაულები;
- 19 აპრილი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- 25 აპრილი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 26 აპრილი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 27 აპრილი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;
- 28 აპრილი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.

ახალციხე
19 აპრილი – მედიაცია.

კახეთი
28 აპრილი – მედიაცია;
აპრილი – მედიაცია;
29 აპრილი – მედიაცია.

2017 წლის მაისში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი

- 11 მაისი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 15 მაისი –საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 15 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 15 მაისი – ვადები და ხანდაზმულობა;
- 16 მაისი – საგადასახადო სამართალი;
- 18 მაისი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება;
- 18 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 19 მაისი – ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა;
- 19 მაისი – ეკონომიკური დანაშაულები;
- 20 მაისი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 22 მაისი – ვადები და ხანდაზმულობა;
- 22 მაისი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება;
- 23 მაისი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 23 მაისი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში;
- 23 მაისი – საგადასახადო სამართალი;
- 24 მაისი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
- 25 მაისი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 25 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 25 მაისი – კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების თავისებურებანი: კლიენტთან ინტერვიუ, ეფექტური კომუნიკაცია, პირველი შეხვედრა კლიენტთან, საქმის ანალიზი, დაცვის პოზიციის/სტრატეგიის ფორმირება;
- 29 მაისი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 30 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
- 30 მაისი – ეკონომიკური დანაშაულები;
- 31 მაისი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.

ქუთაისი

8 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;

18 მაისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ;
30 მაისი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა.

ბათუმი

10 მაისი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;
16 მაისი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
17 მაისი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები;
19 მაისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;
20 მაისი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708 ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33

თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: info@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: info.qutaisi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: info.telavi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: info.batumi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33